

## საგნობრივ შედეგებზე ორიენტირებული გაკვეთილების დაგეგმვა

გიორგი ნოზაძე

შევეცადე, წინამდებარე სტატიაში გამეანალიზებინა საკუთარი პედაგოგიური საქმიანობა. მსურს, ზოგიერთი ჩემი დაკვირვება და მიგნება გაგიზიაროთ.

აი არასრული ჩამონათვალი იმ საგნობრივ-მეთოდოლოგიური და საორგანიზაციო სამუშაოებისა, რომელთა შესრულებაც მიწევს გაკვეთილებამდე (მოსამზადებლად) და გაკვეთილების შემდეგ (რეფლექსიისთვის):

1. გაკვეთილის მიზნის განსაზღვრა;
2. ახალი მასალის ასახსნელად საჭირო მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოვლენა;
3. მოსწავლეთა ცოდნის გამოსავლენად შესაფერისი სავარჯიშოების შერჩევა ან/და შედგენა;
4. მასალის უკეთ ასათვისებლად მისი მიწოდების თანამიმდევრობის განსაზღვრა;
5. საჭიროების შემთხვევაში – კონკრეტული საკითხისადმი არასტანდარტული მიდგომის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
6. ერთი და იმავე მასალის სხვადასხვა ხერხით სწავლება;
7. სასწავლო მასალასა და გარემომცველ სამყაროს შორის კავშირის განსაზღვრა;
8. პრაქტიკული ხასიათის სავარჯიშოების შერჩევა ან/და შედგენა;
9. მოსწავლეთა უნარ-ჩვევების განსავითარებლად სამუშაოების თანამიმდევრობის განსაზღვრა;
10. სამუშაოს შინაარსში პრიორიტეტების განსაზღვრა;
11. კონკრეტული დავალების შესრულების ნიმუშის შედგენა;
12. გაკვეთილის ჩასატარებლად საორგანიზაციო საშუალებების შერჩევა და მათი მიზანშეწონილობის დასაბუთება;
13. მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდისა და ცნობისმოყვარეობის გაღვივების ხერხების შერჩევა მოცემული სასწავლო მასალის ასათვისებლად;
14. შინაარსობრივად მრავალფეროვანი და სხვადასხვა სირთულის სავარჯიშოების შერჩევა ან/და შედგენა მოცემული სასწავლო მასალისთვის;
15. შინაარსობრივად და ფორმით მრავალფეროვანი აქტივობების შედგენა;
16. ტექნიკური საშუალებების გამოყენება გაკვეთილის დასაგეგმავად, ჩასატარებლად და მოსწავლეთა შესაფასებლად;
17. სავარჯიშოთა ისეთი სისტემის შედგენა, რომლის საშუალებითაც მოსწავლეები თანდათანობით აითვისებენ სასწავლო მასალას;
18. ერთმანეთის მომდევნო სავარჯიშოებს შორის კავშირის გამოვლენა და დასაბუთება;
19. კონკრეტული საკითხის შესასწავლად ჯგუფური მუშაობის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
20. ჯგუფური მუშაობის მომცველი გაკვეთილის გეგმის შედგენა;
21. ინდივიდუალური მუშაობის გეგმის შედგენა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის;

22. გაკვეთილის განმავლობაში სადიაგნოსტიკო, პროგრესის განმსაზღვრელი და შემაჯამებელი შეფასებების ჩატარება;
23. მოსწავლის პროგრესის დასადგენად შესაფერისი დავალებების შედგენა;
24. კომპლექსური დავალების თაობაზე იმის გარკვევა, დავალების რომელი ნაწილი როგორ იძლევა მოსწავლის ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების შეფასების საშუალებას;
25. მოსწავლეთა ნამუშევრებში მათი ცოდნის წარმოჩენა და დასაბუთება;
26. მოსწავლეთა შეცდომების გამოვლენა და რეკომენდაციების შემუშავება მათ გამოსასწორებლად;
27. ცალკეული მოსწავლეებისთვის საკორექციო სამუშაოს ჩასატარებელი სტრატეგიების შერჩევა და დასაბუთება;
28. მოსწავლეთა წარუმატებლობის მიზეზების გამოვლენა;
29. მოსწავლეებისა და მათი მშობლებისთვის იმის ახსნა, რა ღირსებები აქვს მოსწავლეს და როგორია მისი განვითარების მიმართულებები;
30. მოსწავლეთა შეფასების შედეგების გამოყენება შემდგომი სამუშაოების დაგეგმვისას.

ეს ყველაფერი ჯერ კიდევ არ არის საკმარისი სასურველი შედეგის მისაღწევად. მოგეხსენებათ, სწავლის აქტი თვით მოსწავლემ უნდა განახორციელოს, რისთვისაც იგი სათანადოდ უნდა იყოს მონდომებული და განწყობილი, ანუ მოტივირებული. რა არის მოტივაცია?

**მოტივაცია** არის მოქმედებისკენ მისწრაფებათა განსაზღვრული ერთობლიობა. იმისთვის, რომ მოთხოვნილებამ გამოიწვიოს გარკვეული მოქმედება, საჭიროა, მოიძებნოს შესაფერისი რამ, რაც ადამიანს კონკრეტული მოქმედებისკენ უბიძგებს. მას **მოტივი** ეწოდება.

მოტივი შეიძლება იყოს განცდა, ურთიერთობა, იდეალები, მრწამსი, ჯილდო და სხვა. მოქმედების მოტივად შეიძლება გარდაიქმნას როგორც ბუნებრივ, ასევე კულტურულ-სულიერ და სოციალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული მისწრაფებები, ასევე ინტერესები, ანუ გარკვეული ემოციური განცდების საჭიროებაზე ორიენტირებული მოთხოვნილებები.

სწავლის მოტივები ორ კატეგორიად შეიძლება დაიყოს. ერთი კატეგორია დაკავშირებულია სასწავლო საქმიანობის შინაარსსა და მისი შესრულების პროცესთან, ხოლო მეორე – გარემოსა და ბავშვის ურთიერთობასთან. პირველს მიეკუთვნება, მაგალითად, ბავშვის შემეცნებითი ინტერესები, ინტელექტუალური საქმიანობის მოთხოვნილება, ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების დაუფლების მოთხოვნილება, მეორეს – ადამიანებთან ურთიერთობის მოთხოვნილება, სურვილი დაიკავოს გარკვეული ადგილი საზოგადოებრივ ურთიერთობებში.

იმისთვის, რომ მოსწავლეებს სწავლის მოტივები ჩამოუყალიბოს, მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს ახალი მოტივებისა და მოთხოვნილებების განვითარების მექანიზმი: იგი უნდა დაეყრდნოს არსებულ მოთხოვნილებებს – ისეთებს, როგორიცაა აქტიური საქმიანობის, ემოციური დაკმაყოფილების, კოლექტივში თვითდამკვიდრების და სხვა მოთხოვნილებები; მან უნდა შეასრულებინოს მოსწავლეს საჭირო მოქმედებები და მოახერხოს, რომ ამ მოქმედებებმა მოსწავლეში გამოიწვიოს დადებითი ემოციური განცდები, დააკმაყოფილოს მისი ინტერესები,

ჩაუნერგოს პრობლემათა გადალახვის შესაძლებლობის რწმენა, საკუთარი უნარიანობის რწმენა, საკუთარი წარმატების გამო სიამაყე და სიხარული. ამასთანავე, კლასში, სკოლაში, ოჯახში უნდა შეიქმნას ცოდნისა და უნარიანობისადმი პატივისცემის, მათი დაფასების ატმოსფერო, როდესაც სასწავლო შინაარსის ათვისება განიხილება როგორც საზოგადოებრივად და პიროვნულად უმნიშვნელოვანესი საქმე, ყოველი მოსწავლის პირადი ღირსების საქმე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სასწავლო მოტივების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ყურადღების მიმართვა არა მარტო სასწავლო საქმიანობის შედეგისკენ, არამედ მისი მიღწევის ხერხებისკენაც.

მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების ყველაზე შედეგიანი ხერხებია:

- თბილი, ურთიერთნდობითა და პატივისცემით გამსჭვალული გარემოს შექმნა; შემოქმედებითი ინიციატივის სტიმულირება;
- კრიტიკული აზროვნების წახალისება; დისკუსიების ჩატარება; პოზიტიური ქცევის ნიმუშების მოყვანა;
- მაღალი მოლოდინების დამკვიდრება; წარმატების იმედის გაღვივება; მუდმივი გამოწვევების ატმოსფეროს ჩამოყალიბება;
- ლიდერობისა და თანამშრომლობის წახალისება; დამაინტრიგებელი პასუხისმგებლობების დაკისრება (მაგალითად, მოსწავლეთა მიერ ერთმანეთის ნამუშევრების შემოწმება-შეფასება; აქტივობების ხელმძღვანელობა; სავარჯიშოების შედგენა ან შერჩევა; დამატებითი ინფორმაციის თუ მასალების მოძიება და სხვა);
- სწავლის მიზნებისა და სასურველი შედეგების წინასწარ გაცნობა; მიზნების მიღწევის საშუალებათა შერჩევაში მოსწავლეთა დახმარება;
- მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინება (ვიზუალური მასალითა და მოდელებით მანიპულაციის გზით ცნობისმოყვარეობას აღძვრა; შესაფერისი, ცოცხალი და კონკრეტული მაგალითების მოყვანა; ისეთი უჩვეულო, სახალისო ან/და პარადოქსული ფაქტების დასახელება, რომლებიც გაკვირვებას იწვევს); მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო გამოცდილებაზე აპელირება;
- სასწავლო პროცედურების, პრინციპებისა და წესების ერთობლივად შემუშავება და განუხრელად დაცვა; ობიექტურობა და მომთხოვნელობა; ინდივიდუალური მიდგომა;
- სასწავლო მასალის სწორად ორგანიზება (ახალი მასალის დაშენება წინა მასალაზე; ახალი მასალის წარდგენამდე წინმსწრებ შემამზადებელ აქტივობათა შესრულება; მოსწავლეების ჩართვა ახალი მასალის გაგებასა და გამოყენებაზე ორიენტირებულ აქტივობებში; ათვისებული მასალის განმტკიცება და გაღრმავება; ათვისებული მასალის შეჯამება და რეფლექსია მიღებულ გამოცდილებაზე);
- დედუქციურ და ინდუქციურ მსჯელობათა სწავლება; ამოცანათა კლასების ამოხსნის ხერხების სწავლება;
- სააზროვნო ოპერაციების (განზოგადება და სპეციალიზაცია, აბსტრაქცირება და დაკონკრეტება, შედარება და შეპირისპირება, ანალიზი და სინთეზი) შესრულების ოსტატობის განვითარება;
- სწავლება/სწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება (მათ შორის განსაკუთრებით პრობლემურ-საძიებო მეთოდებისა);
- შესაფერისი სირთულის დავალებების მიცემა და საკუთარი ძალების რწმენის განმტკიცება; დავალების არჩევანის უფლების მინიჭება (გარდა გამოკითხვის შემთხვევისა);

- პრაქტიკული და თეორიული საქმიანობის ბალანსის დაცვა; მკაფიო ინსტრუქციების მიცემა; კონსტრუქციული რეკომენდაციების მიწოდება; უწყვეტი უკუკავშირის განხორციელება;
- ენთუზიაზმისა და მადლიერების დემონსტრირება; მიღწევების აღიარება და დაფასება; პროგრესზე პოზიტიური გამოხმაურება.

ახლა კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე ვისაუბროთ: თუ ითვალისწინებთ ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამის შედეგებსა და ინდიკატორებს სასწავლო აქტივობების დაგეგმვისას? როგორ ახერხებთ ამას, რომელი პედაგოგიური მეთოდებით?

**შედეგებზე ორიენტირებული სასწავლო-დიდაქტიკური ერთეული** (მოსწავლის მიერ საკითხის ან თემის ათვისებისა და უნარ-ჩვევების განვითარებისთვის განკუთვნილი მეცადინეობები, რომლებიც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში გრძელდება) შეიძლება მოიცავდეს სამი სახეობის აქტივობებს:

**შესავალი აქტივობები** ასტიმულირებს მოსწავლეთა ინტერესს საკითხისადმი და მოტივაციას უქმნის მოსწავლეებს, მონაწილეობა მიიღონ მეცადინეობაში. შესავალი აქტივობები ადგენს მეცადინეობის კონტექსტს, ამარაგებს მოსწავლეებს სასტარტო ცოდნით, ხელს უწყობს უნარ-ჩვევების განვითარებას.

**ძირითადი აქტივობები** ის აქტივობებია, რომელთა საშუალებითაც მოსწავლეები ეუფლებიან ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. **ძირითადი აქტივობები:**

- დაკავშირებულია ერთ ან მეტ საგნობრივ შედეგთან;
- ხელს უწყობს იმ ცოდნისა და ისეთი სასწავლო პროცესის აგებას, რომელიც აუცილებელია შედეგების მისაღწევად;
- გამოიწვევია და მასწავლებელი ადვილად აიყოლიებს მოსწავლეებს;
- ხელს უწყობს აქტიურ სწავლას.

ძირითადი აქტივობების დაგეგმვა და თანამიმდევრულად განლაგება დავალებათა გაანალიზებისა და შექმნის პროცესს უკავშირდება: რა ცოდნა და უნარ-ჩვევები სჭირდება მოსწავლეს, რათა დააკმაყოფილოს საგნობრივი პროგრამის რომელიმე შერჩეული შედეგი? რომელ სავარჯიშოებს მიჰყავს მოსწავლე აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების დაუფლებისკენ?

**შემაჯამებელი აქტივობები** ის აქტივობებია, რომელთა შესრულებისას მოსწავლეები წარმოაჩენენ საკუთარ მომზადებას, აქტივობის განმსაზღვრელი (შერჩეული) შედეგებიდან გამომდინარე.

**შემაჯამებელი აქტივობები:**

- მოიცავს მოსწავლეთა მიღწევებისა და პროგრესის შეფასებას;
- ითხოვს ცოდნისა და უნარ-ჩვევების კომპლექსურ გამოყენებას;
- უბიძგებს მოსწავლეებს რეფლექსიისკენ;
- აძლევს მოსწავლეებს დამატებით მოტივაციას (შემდგომი სწავლისთვის, ცოდნის გაღრმავებისთვის, კვლევა-ძიებისთვის, თვითშეფასებისთვის და ა.შ.).

შემაჯამებელ აქტივობაში მოსწავლეს შეიძლება მოეთხოვებოდეს, რომ მან:

- მოახდინოს ზეპირსიტყვიერი პრეზენტაცია;

- გამოიყენოს საინფორმაციო ტექნოლოგიები იმისათვის, რომ შეაგროვოს, გააანალიზოს, მოაწესრიგოს, შეაფასოს და წარმოადგინოს ინფორმაცია სხვადასხვა წყაროდან;
- შექმნას ისეთი პროდუქტი, რომელიც აკმაყოფილებს წინასწარ ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს;
- განახორციელოს კონკრეტული პირობების დამაკმაყოფილებელი პროექტი.

**პროდუქტები და მოქმედებები, როგორც მოსწავლის მიღწევების შესახებ ინფორმაციის წყარო**

| წერილობითი                                 | ვიზუალური                                              | სმენითი                                                 | დამზადებული ან აგებული                | კომბინირებული                                                                             |
|--------------------------------------------|--------------------------------------------------------|---------------------------------------------------------|---------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------|
| ესე, სტატია, მოხსენება, ინსტრუქცია და სხვა | დიაგრამა, სქემა, ნახაზი, ნახატი, გრაფიკი, რუკა და სხვა | დისკუსი, მოხსენება, დებატი, ინტერვიუ, ვიქტორინა და სხვა | მოდელი, კონსტრუქცია, გამოფენა და სხვა | ვიდეომასალა, დრამა, ექსპერიმენტი, პრეზენტაცია მულტიმედია საშუალებების გამოყენებით და სხვა |

მოსწავლეთა პროდუქტებისა და მოქმედებების შერჩევისას ორიენტაცია უნდა ავიღოთ შედეგებსა და ინდიკატორებზე (როგორც სამიზნეზე) და ვიმოძრაოთ პროდუქტებისა და მოქმედებებისკენ (როგორც საშუალებისკენ) ისე, რომ ვუპასუხოთ კითხვებს:

- რომელი შედეგებია შერჩეული?
- ამ შედეგებიდან გამომდინარე, რომელი დავალებები თუ სავარჯიშოებია შესაფერისი?
- რომელი პროდუქტებით და მოქმედებებითაა შესაძლებელი შედეგის მიღწევაში მოსწავლის პროგრესის წარმოჩენა?
- შეესაბამება თუ არა ერთმანეთს შედეგები, დავალებები, პროდუქტები და მოქმედებები მთლიანობაში? საჭიროა თუ არა ამ ფაქტორებიდან რომელიმე ერთის ან კომბინირებულად რამდენიმეს გადასინჯვა?

ეფექტური პროდუქტებისა და შესაფერისი მოქმედებების შესარჩევად გამოსადეგი რეკომენდაციები:

- . შეამოწმეთ, თვით შედეგები ან ინდიკატორები ხომ არ გკარნახობენ არჩევანს;
- . შეუსაბამეთ თქვენი არჩევანი უკვე დაგეგმილ ამოცანებსა თუ სავარჯიშოებს, ან, თუ დარწმუნდებით, რომ შედეგის მიღწევა მოცემული პროდუქტით უკეთესად შეიძლება, შეცვალეთ და მოარგეთ ეს სავარჯიშოები მოცემულ პროდუქტებსა და მოქმედებებს;
- . ეცადეთ გაითვალისწინოთ მრავალი ინტელექტის თეორია (მაგალითად, ყოველ მოსწავლეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, სასწავლო-დიდაქტიკური ერთეულის ფარგლებში პროდუქტების შექმნისა და მოქმედებების შესრულებისას ხანდახან

მაინც დაეყრდნოს საკუთარ გამორჩეულ მიდრეკილებასა და ნიჭს და, ამასთანავე, პერიოდულად იმუშაოს ინტელექტის სხვა ფორმების განვითარებაზეც);

. ეცადეთ, გაითვალისწინოთ მოსწავლეთა სწავლის სხვადასხვანაირი სტილი (მაგალითად, ყოველ მოსწავლეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, სასწავლო ერთეულის ფარგლებში ხანდახან მაინც იმეცადინოს და გამოავლინოს საკუთარი მიღწევები მისთვის კომფორტული ფორმით და, ამასთანავე, პერიოდულად იმუშაოს სხვა ფორმების განვითარებაზეც);

შეეცადეთ, დავალება მოსწავლისთვის აქტუალური, შესაფერისი და საინტერესო იყოს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ:

. მოსწავლეები უკეთ ასრულებენ სამუშაოს, როდესაც მათ აქვთ პროდუქტისა თუ მოქმედებების არჩევანის თავისუფლება;

. საზოგადოდ, მოსწავლეებმა უნდა გამოსცადონ ყველა სახის პროდუქტების მომზადება და მოქმედებების შესრულება;

. მიზანშეწონილია, შერჩეულ კრებულში მონაცვლეობდეს ინდივიდუალურ და ჯგუფურ სამუშაოებთან დაკავშირებული პროდუქტები თუ მოქმედებები;

. ყველა მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროდუქტის შესაქმნელად ან მოქმედების შესასრულებლად აუცილებელი რესურსები (დრო, მასალები, მოწყობილობა და ა.შ.)

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივობები კლასში სრულდება, ბუნებრივია, გამოვიყენოთ მოსწავლეთა შეფასების სქემა, რომელიც ბლუმის ტაქსონომიას ითვალისწინებს. იხილეთ ასეთი სქემის ნიმუში საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის:

### მოსწავლის შეფასების სქემა

\* მოსწავლეს ახსოვს, ზოგადად რას ეხება სასწავლო მასალა – 1 ქულა;

\* მოსწავლე საკითხის შესახებ იძლევა არაზუსტ ინფორმაციას ახსნა-დასაბუთების გარეშე – 2 ქულა;

\* მოსწავლე საკითხის შესახებ იძლევა ზედაპირულ სწორ ინფორმაციას ახსნა-დასაბუთების გარეშე – 3 ქულა;

\* მოსწავლე საკითხის შესახებ იძლევა ზედაპირულ სწორ ინფორმაციას ელემენტარული განმარტებებით, თუმცა ვერ წარმოაჩენს საკითხის არსს და უჭირს ცოდნის გამოყენება – 4 ქულა;

\* მოსწავლე ზუსტად წარმოაჩენს საკითხის არსს, იძლევა მინიმალურ ახსნა-განმარტებებს და ახერხებს ცალკეული უმარტივესი ამოცანების გადაჭრას – 5 ქულა;

\* მოსწავლე ზუსტად წარმოაჩენს საკითხის არსს, აყალიბებს დებულებებს და მოჰყავს არგუმენტები მათ სასარგებლოდ, ახერხებს ცოდნაზე დაყრდნობით მარტივი ამოცანების გააზრებას და გადაჭრას – 6 ქულა;

\* მოსწავლე წარმოაჩენს საკითხის არსებით მხარეებს და მათ შორის კავშირებს, იყენებს ცოდნას სტანდარტული ამოცანების გადასაჭრელად, მსჯელობს და აკეთებს ლოგიკურ დასკვნებს – 7 ქულა;

\* მოსწავლე ღრმად და მრავალმხრივ წარმოაჩენს საკითხის არსს, იყენებს ცოდნას მრავალფეროვანი სტანდარტული ამოცანების გადასაჭრელად, ატარებს პრობლემის

ანალიზს, მსჯელობს და აკეთებს ლოგიკურ დასკვნებს, შეუძლია ცალკეული პრობლემების ეფექტურად გადაწყვეტა – 8 ქულა;

\* მოსწავლე სრულყოფილად წარმოაჩენს საკითხის არსს, იყენებს ცოდნას მრავალფეროვანი ამოცანების გადასაჭრელად, აყალიბებს საკითხის საკუთარ ხედვას, შეუძლია დასმული პრობლემების ღრმა ანალიზი და ეფექტურად გადაწყვეტა, გამოყოფს პრობლემის გადაჭრის ეტაპებს და განასხვავებს სტრატეგიებს – 9 ქულა;

\* მოსწავლე სრულყოფილად წარმოაჩენს საკითხის არსს მრავალმხრივი შიდა და გარე კავშირების მითითებით, იყენებს ცოდნას მრავალფეროვანი (მათ შორის – არასტანდარტული) ამოცანების გადასაჭრელად, აქვს საკითხის საკუთარი ხედვა და ასაბუთებს მის მართლზომიერებას, შეუძლია დასმული პრობლემების ღრმა ანალიზი და ორიგინალურად გადაწყვეტა, გამოყოფს პრობლემის გადაჭრის ეტაპებს და განასხვავებს სტრატეგიებს, აფასებს გამოყენებული მიდგომების ეფექტურობას და არჩევს მათ შორის ოპტიმალურს – 10 ქულა.